ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1237893

ნომერი: AR1209639

თარიღი : 03.04.2014

გაცემის თარიღი : 02.05.2014

გაცნობის თარიღი : 08.05.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) N37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე აბულაძე პ/ნ 62001003516
- თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

## გადაწყვეტილება

თქვენი AR1209639 03.04.2014 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქ. #37–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.15.05.089.008 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატებას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო

ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, სადაც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკითხის განხილვა საჭიროებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებას. გამომდინარე აქედან, თქვენი საკითხი შესათანხმებლად გადაგზავნილი იქნა სამინისტროში. მათი გადაწყვეტილების შესაბამისად (იხ. დანართი: წერილი #დ/13/09/01 24.04.2014) ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქ. #37–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.15.05.089.008 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხი განმეორებით უნდა იქნეს განხილული მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ ახალი განაცხადით წარმოადგენთ დოკუმენტაციას, საკითხი კვლავ გადაიგზავნება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განსახილველად.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.